




# საქართველოს მთავრი



№16 (390)

1 მაისი, ორშაბათი, 2023 წელი



## წალკის, თაგვეთისა და ცედანის მოსახლეობა სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების პროცესში ჩაერთო

საშურის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტის პროექტი, მიმდინარე წელს, წაღვლიში, თაგვეთისა და, ცედანში განხორციელდება. ადგილობრივი ბიუჯეტში პროექტისთვის 300 000 ლარია გამოყოფილი, საიდანაც თოთოველ სოფელზე 100 000 ლარი დაიხარჯება.

მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს წევრები - მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ცოტნე ნოზაძე, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე ზაზა სხილაძე,

მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი ლელა მაჭარაშვილი, ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი პაპიაშვილი და მუნიციპალიტეტის მერიის სხვა წარმომადგენლები სოფელ წაღვლის მოსახლეობას შეხვდნენ, სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების პროცედურები დეტალურად გააცნეს და შეკითხვებს უასეუხეს.

საპროექტო იდეის წარმოდგენა ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია 14 წლის ასაკიდან, გარდა მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებისა და საკრებულოს წევრებისა.

საპროექტო იდეები, რომლებიც წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს დაამაყოფილებს, გადავა კენჭისეყრის ეტაპზე, სადაც გამარჯვებული პროექტი ფარული ხმის მიცემით გამოვლინდება.

მონაწილეობითი ბიუჯეტირება არის ნებაყოფლობითი, უნივერსალური და უშუალო (პირდაპირი) დემოკრატიის პროცესი, რომლის საშეალებითაც ხალხი აწარმოებს დიალოგს და იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტისა და სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ. მოქალაქეები არ შემოიფარგლებიან მხოლოდ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრთა არჩევნებით, არამედ უშუალო მონაწილეობას იღებენ საბიუჯეტო პრიორიტეტების დადგენისა და სახელმწიფო ხელისუფლების კონტროლის პროცესებში.

შემდეგი შეხვედრა სოფელ თაგვეთში გაიმართა. მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს წევრები - მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილები: ცოტნე ნოზაძე, ნოდარ ლომიძე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე მუხრან ჩადუნელი,

მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი ლელა მაჭარაშვილი, ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი პაპიაშვილი და მუნიციპალიტეტის მერიის სხვა წარმომადგენლები სოფელ მოსახლეობას შეხვდნენ, სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების პროცედურები დეტალურად გააცნეს და შეკითხვებს უასეუხეს.



## ქვიშებეთში „უიფიანობა“ იზეიმეს

ქვიშებეთში, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სახლ-მუზეუმში, დიდი ქართველი მამულიშვილის, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშის წმინდა დიმიტრი ყიფიანისადმი მიძღვნილი სახალხო დღესასწაული „ყიფიანობა“ გაიმართა, ღონისძიებაში ჩართულები იყვნენ, სხვადასხვა მუნიციპალური შემოქმედებით გუფები. ღონისძიებას ესწრებოდნენ ადგილობრივები, სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები და დიმიტრი ყიფიანის შთამომავლები.

„მოგესალმებით და მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის. დღეს კიდევ ერთხელ შევიკრიბეთ დიმიტრი ყიფიანის სახელობის სახლ-მუზეუმში „ყიფიანობის“ აღსანიშვავად.“

ვამაყობთ, რომ დიმიტრი ყიფიანი ჩვენი თანამემამულეა. იგი გახლავთ ქართველი ერის ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი და საამაყო საზოგადო მოღვაწე. სასიხარულოა, რომ ჩვენი დიდი მამულიშვილის -დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი რეაბილიტირებულია და ღირსეულად



შეუძლია გიზიტორების მიღება. სულ მალე, ქალაქ ხაშურში, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერში, დიმიტრი ყიფიანის ბიუსტიც დაიდგმება, რაც სკვერს მეტ ღირებულებას შესძენს „აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა სიტუკით გამოსვლისას.“

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა, სამუზეუმო საქმიანობაში შეტანილი წვლილისთვის, დიმიტრი ყიფიანის სახელობის მედალი გადასცა, რევაზ ნოზაძეს, ასევე დაჭილდოვდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მთავარი არქიტექტორი ტარიელ კიბარიძე.

ღონისძიების ბოლოს, სტუმრებმა, დიმიტრი ყიფიანის საგამოფენო სივრცე დაათვალიერეს.

## საინფორმაციო შეხვედრა სამართლებრივ საკითხებზე



ხაშურის სამუსიკო სკოლის დარბაზში, ხაშურის რაიონულმა პროეტორომა არჩილ ბეგუაძემ საინფორმაციო შეხვედრა გამართა თემაზე „ქურდული სამყარო, არსებული კანონმდებლობა, მიღწევები და გამოწვევები.“

საინფორმაციო კამპანიის მიზანი იყო ამ მიმართულებით, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

შეხვედრას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის, სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები და დაინტერესებულები პირები. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ახალგაზრდები, რომლებმაც პროცესორს არაერთი საინტერესო შეკითხვა დაუსცეს და ამომწურავი პასუხებიც მიიღებ.

ხაშურის რაიონული პროცესორის განმარტებით, მსგავსი ხასიათის შეხვედრები, პერმანენტულად გაგრძელდება და სხვადასხვა საკითხებს მიეღვინება.

- ეს ჩვენი ისტორიაა, ეს ჩვენი წარსულია -

### დღეს პირველი მაისია - რა ხდებოდა ამ დღის ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს ქალაქში - არცთუ შორეულ წარსულში?

პირველი მაისის მუშათა დემონსტრაციებს დასაბამი ერთმა შემთხვევამ მისცა. ამერიკის შეერთებულ შტატებში, 1884 წელს, საფრანგეთი და მუშათა პროფესიონალის ფედერაციამ, კანადის მშრომელთა წარმატებით (1872წ.) წაქეზებულმა, მოაწყო მუშათა ფართო გამოსვლა და მოითხოვა რვასაათიანი სამუშაო დღე, რომელიც მაღლაში 1886 წლის 1 მაისს უნდა შესულიყო. მას, შედებად, საერთო გაფიცვა და ამბოხი მოჰყვა ზიკაგოში. მაისის დღის ამბოხი მოგვიანებით და უფრო დიდი მასშტაბით, მოგვიანებით - 1894 და 1919 წლებშიც განხეორდა. ამასობაში, სხვა ქვეყნებში, (აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის გარდა) რეზიდენტი მუშათა კლასები იძრმოდნენ იმისათვის, რათა პირველი მაისი მთავრობის მიერ სანქციონებულ უქმე დღედ გამოცხადებულიყო, რამაც, საბოლოოდ, თითქმის ყველგან წარმატებული შედეგი გამოიღო. ამ მიზეზის გამო პირველი მაისი, თითქმის მთელ მსოფლიოში, აღინიშნება მუშათა უზარმაზარი დემონსტრაციებით.

მეოცე საუკუნეში, პირველმა მაისმა ოფიციალური მნიშვნელობა შეიძინა საბჭოთა კაქშირში. თუმცა, ამ პროცესში, ისევე, როგორც ბევრმა რამ, კომუნისტური რეჟიმის პირობებში, სრულიად განსხვავებული და, შეიძლება ითქვას, საპირისპირო მიმართულების შინაარსი შეიძინა. წარმოიდგინეთ, ამ დღეს, მთელ მსოფლიოში, მუშები უპირისპირდებოდნენ მთავრობებს და მოითხოვდნენ საერთოდ საქმეში დირექცია, პარტკომი, პროფკავშირიც კი და მკაცრი სასჯელი გარანტირებული იყო. სიმართლე ითქვას, ასეთ დემონსტრაციებში მონაწილეობა აბსოლუტურ უმრავლესობას სულ ცალ ფეხზე ეკიდა კომპარტიონაც, თავის ლუნინ-მარქსიანად, და ადგომილიბრივი ჩინოვნიკებიც, მაგრამ ძალა აღმართს ხნავდა.

არადა, მართლაც სასაცილო სიტუაცია იყო (თუმცა, ეს დღე განდელი გადასახედიდან, თორებ აბა, მაშინ გაბეცინა). იდგნენ ტრიბუნაზე „ნათელი“ სახეებით ადგილობრივი პარტიული ბოსქი, რომელთა წინ უნდა ჩაევლო დამის მთელ რაიონს და გადიმებული სახით მისალმებოდა ჩინოვნიკებს. თანაც ამ მისალმებაში მადლიერება უნდა ჩაექსოვათ, რომ მათი „სასწაული“ ყოფაცხოვრება სწორედ ამ ჩინოვნიკებიდ დამსახურება იყო.

მშრომელთა დემონსტრაციებზე ბაჟშვებს რა ესაქმებოდათ, მაგრამ ჩვენთან ესეც პირიქით იყო. ყველა სკოლა ვალდებული



ხაშურის №4 საბავშვო ბაზი, საგარაუდო 80-იანი წლები



1971 წელი



1950 წელი



საგარაუდო, 70-იანი წლები

გახლდათ სრული შემადგენლობით გამოცხადებულიყო „პარადზე“ და სულ ვაშა-ვაშა ეძახათ.

დღევანდელ ნომერში ჩვენს ქალაქში გამართული პირველი მაისის აღლუმების ფოტო-კოლაჟს ვთავაზობთ მკითხველს. მართლაც საინტერესო ფოტოებია ჩვენი უახლოესი წარსულიდან. ამ ფოტოების „გმირებიდან“ ბევრი ჯერ კიდევ ჩვენს გვერდითაა (დმერთმა დიდხანს აცოცხლოთ) და ისინიც ალბათ დიმილით გაიხსენებენ იმ დღეების პერიპეტიებს.

(რედაქცია მადლობას უხდის ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფოტო-დოკუმენტური კოლექციის მცველს მაის დომისაძეს დახმარებისა და აქტიური მხარდაჭერისათვის)



1987 წელი



1982 წელი



1987 წელი



1956 წელი



საგარაუდო, 60-იანი წლები



1948 წელი

(გაგრძელება. დასაწყისი იბ. „ბბ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29  
2020 წ. 2021 წ. #1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,1  
9,20,21,22,23,24,25,26,29,31,33,34,35,40,41,42,43. 2022 წ. #1,  
2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24,  
25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 46, 47,  
48, 49, 50. 2023წ. #1, 2, 3, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 15)

პროფესიონალურ კარლო ვლადიმერის ქ ქველადე დაიბადა ხაშურში 1932 წელს. 1950 წელს აქვე დაამთავრა ხაშურის II საშუალო სკოლა, ხოლო 1956 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანიკოსური დოპლის ფაკულტეტზე. 1956-1962 წლებში იყო ამავე ფაკულტეტზე მანქანებისა და მექანიზმების ოცნების კათედრის ასისტენტი. 1963 წელს ჩეხოსლოვაკიაში წარმატებით დაიცვა დისერტაცია და გახდა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი. ამავე წლიდან იგი პოლიტექნიკური ინსტიტუტის რეზონაციის სადამოს სწავლების ფაკულტეტის დეკანი.

1976 წლიდან კ. ქეკელაძე საქართველოს კავბის მრეწველობის საპროექტო-საკონსტრუქტორო ოქენოლოგიური ინსტიტუტის დირექტორია. 1986-1990 წლებში საკაგზირო სოფლის მეურნეობის მცნიერებათა აკადემიის ა/კ რკინიგზის განყოფილების (ამჟამად საქართველოს სოფლის მეურნეობის მცნიერებათა აკადემია) პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს აგრომრეწვის გაერთიანების მცნიერული უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე.

1995 წლიდან პ. ქველიძეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორია. მას ეკუთხნის 33 სამეცნიერო ნაშრომი. არის 15 გამოგონებისა და ერთი მონოგრაფიის ავტორი. მისი შრომები გამოქვეყნებულია ამერიკაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, მისი გამოგონებები დანეგილია მეტალურგიაში, მსუბუქ მრეწველობასა და კვების მრეწველობაში: პურის, კონსერვების, ჩინსა და თამბაქოს წარმოებაში.

კ. ქეგლაძე ეწევა ფართო საზოგადოებრივ საქმიანობას. სხვადასხვა დროს იყო საქართველო-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი (1963 წლიდან), საქართველო-იაპონიის ურთიერთობების ასოციაციის პრეზიდენტი (1990 წლიდან). არის საქართველოს-ჩეხეთის ურთიერთობის ასოციაციის პრეზიდენტი (1991 წ.-დან). დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ და სხვა. აგრეთვე მისი გამოკონებები არაერთხელ იქნა აღნიშნული საკავშირო გამოფენებზე – ვერცხლის შედლით.

საყოველთაო აღიარება ხვდა წილად მედვინეობის დარგში ცნობილ სპეციალისტს ალექსანდრე დავითის ძე ქურდაძეს. იგი ხაშურში დაიბადა 1930 წელს. აქვე დაამთავრა ხაშურის II საშუალო სკოლა. შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1954). სხვადასხვა დროს მუშაობდა მთავარ კონსტრუქტორად, ქარხნის დირექტორის მოადგილედ, მთავარ ინჟინერად, სამტრესტის მთავარ ინჟინერად, მედვინეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ, ეწერდა კერძო ბიზნესს.

ალ. ქურდაძე არის 55 შორმის აგვირი, მათ შორის 5 წიგნის, 96 გამოგონებაზე აქვს საპატენტო მოწმობა, ერთ-ერთი გამოგონების ღიცენზია გაიყიდება და ჩინეთში, ხოლო დაპატენტდა ქახანეთსა და არგენტინაში.

1969 წელს დაიცვა დისერტაცია ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, ხოლო 1999 ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული გამომგონებლის (1967) და საბჭოთა კავშირის დამსახურებული გამომგონებლის (1988) წოდებები. არის საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1981), არჩეულია საქართველოს საინჟინირო პრემიის (1996) და საერთაშორისო საინჟინირო პრემიის (1996), ნიუ-იორკის მეცნიერებათა პრემიის (1999) ნამდვილ წევრად. 1998 წელს გადაეცა დირსების ორდენი.

2000 წელს აღ. ქურდაძის დაბადებიდან 70-ე წლისთავის გამო საქართველოს პრეზიდენტი ე.შევარდნაძე მისასალმებელ წერილში წერდა:

„ბატონი ალექსანდრე, საიუბილეო თარიღს გილოცავთ დირსეულ ადამიანს, შესანიშნავ მეცნიერსა და ჰეშმარიტ მამული შელს. დიდი მადლობა მინდა გითხრათ იმ წვლილის გამო, რომელიც საქართველოს მედვინეობა-მევენახეობის დარგის განვითარებისა და პროპაგანდის საქმეში შეიგანეთ. დიდი მადლობა – თქვენი გამოგონებებისთვის და მადალი პროფესიონალიზმისთვის.

დიდი მაღლობა – იმ ენციკლოპედიური კრებულის გამოცემისთვის, რომელსაც „გახსენება“ ჰქვია და ორმელმაც შთამომავლობას შემოუნახა ჩვენი მეცნიერების სახელში.

კიდევ ერთხელ გილოცავთ იუბილეს. გისურვებთ დღეგრძელობას და წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საქმიანობაში.

გარდაიცვალა 2013 წელს.

ტექნიკის მცნიერებათა განვიდატი თამაზ ალექსანდრეს ძე შათირიშვილი დაიბადა საშუალში, 1951 წელს. დაამთავრა I საშუალო სკოლა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1974 წლიდან მუშაობდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. 1986 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ფოლადის დნობის უხელესი მეთოდები“. მის გამოგონებას ფოლადის დნობის ტექნოლოგიაში ეწოდება „რუსთავური მეთოდი“, რომელიც დაინერგა ყოფილი საბჭოთა კავშირის კულტურულ მეტალურგიულ ქარხანაში, ხოლო ამ მეთოდით დნობის ლიცენზია შეიძინა მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ. არის ოცნებამოგონების ავტორი. 1988 წელს მცნიერებისა და ტექნიკის დარგში სსვანიანის მდგრადი მიერის სახელმწიფო პრემია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში განხორციელდებული სამუშავრებისთვის „თხევადი ფოლადის ინკრტული გაზებით დამუშავების ახალი დიდებულებისათვის ტექნოლოგიის შექმნისათვის“.

და ფართო სამრეწველო დანერგვისათვის“ იყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კომერციული დირექტორი.

ინსტიტუტ „ავტომატრეწვში“ ინჟინრად, შემდეგ უფროს ინჟინრად. 1974 წლიდან იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი. 1979 წლიდან სწავლობდა გერმანიის ქ. ილმენაუს უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში. 1982 წლის აქვე დაიცვა დისერტაცია დოქტორ-ინჟინრის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ამავე წლიდან საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტშია. 1987 წლიდან იყო კავშირგაბმულობის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე და მრავალარხიანი ელექტრო-კავშირგაბმულობის კათედრის დოცენტი. მის კალამს ეკუთვნოდა 11 სამეცნიერო ნაშრომი რამდენიმე სახელმძღვანელო. იყო ორი გამოგონების ავტორი.

გარდაიცვალა 1990 წელს.  
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი იზოლადა შოთას ასული ჩიტი-აშვილი, დაიბადა ქ. ხაშურში 1940 წელს. სწავლობდა საქართველოს სახოფ-ლო-სამეცნიერო ინსტიტუტში. 1965-1974 წლებში მუშაობდა ს. ალის საბჭოთა მეცნიერებაში ენტომოლოგად. 1971 წლიდან იყო სასოფლო-სამეცნიერო კულტურების მავნებელ-დაავადებათა და დიაგნოსტიკის ხაშურის პუნქტის გამგე. 1986 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების ცნობილი სახე ზურაბ ლეონტის ძე ცუცქირიძე დაიბადა ქ. საშუალი, 1941 წელს. 1959 წელს დაამთავრა რეკინიგზის საშუალის №3 საშუალო სკოლა. ამავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. ერთი პერიოდი 1961-1962 წლებში სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტში, შემდეგ კვლავ სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე აგრძელებს სწავლას, რომელიც დაასრულა 1966 წელს. 1968 წლიდან წევა პედაგოგიურ მოღვაწეობას ჯერ სკოლაში, ხოლო 1969 წლიდან პროფესიური განათლების სისტემაში. 1970-1974 წლებში სწავლობდა პროფესიანთლების დენინგრადის

საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1971 წლიდან  
იყო ქურნალ „სკოლა და ცხოვრების“  
სასკოლო განყოფილების გამგე. 1982-  
1983 წლებში - რედაქციის პასუხისმგე-  
ბელი მდივანი. ხოლო 1984-1991 წლებში  
რედაქტორის მოადგილე.

1993 წლიდან იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის გამგე. ზ. ცეცქირიძეს გამოქვეყნებული აქვს 150-მდე სამეცნიერო ნაშრომი და 300-ზე მეტი პუბლიციისტური სტატია. არის რამდენიმე წიგნის ავტორი. მისი ნაშრომის „ლექციების კურსი პედაგოგიკაში“ (ორნაწილად) პირველი ნაწილი აღინიშნა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პირველი ხარისხის პრემიით.

ზ. ცეცქირიძე 1996 წელს აირჩიეს საქართველოს პუმანიტარულ მეცნიერებათა ბათა აკადემიის, ხოლო 1998 წელს საქართველოს პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრად. ამჟად მუშაობს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. ეწვა აქტიურ უკრნალისტურ საქმიანობას. მისი პუბლიციისტური წერილები იბეჭდება გაზეობში: „საქართველოს რესპუბლიკა”, „საქართველო და მსოფლიო”, „ლიტერატურული საქართველო”.

o. ცხვირაშვილს 1957 წელს მიენიჭა “საქართველოს სსრ სახალხო არტისტის” წოდება. იმყოფებოდა დიდ სამამულო ომში. მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები.

გარდაიცვალა 1984 წელს. დაკრძალულია ქ. ხაშურში, ჭალის სასაფლაოზე.

ცნობილი გეოგრაფი და მეცნიერი შოთა ალექსანდრეს ძე ცხოვრებაშვილი ქ. ხაშურში დაიბადა 1921 წელს. სწავლობდა ხაშურის IV (II) შეიძლიან სკოლაში. 1938 წელს დაამთავრა ხაშურის I საშუალო სკოლა, 1942 წელს თხუ გეოგრაფია-გეომორფოლოგიის ფაკულტეტი, ხოლო 1946 წელს - ასპირანტურა.

სტუდენტობის პერიოდიდან უნივერსიტეტის გეომორფოლოგიის კათედრაზე მუშაობდა დაბორანგად. 1947 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1967 წელს სადოქტორო დისერტაცია. 1968 წლიდან პროფესორია. 1970-1981 წლებში

იყო გეოგრაფიულობის კათედრის გამგე. წლების მანძილზე იყო თსუ დიდი სამეცნიერო საბჭოსა და გეოგრაფია-გეოლოგის ფაკულტეტთან არსებული სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს წევრი.

შ. ცხოვრებაშვილი ლექციებს კითხულობდა ზოგად დედამიწაომცოდნეობასა და ზოგად გეომორფოლოგიაში. არის რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი. მათ შორის ადსანიშვნაც „ზოგადი გეომორფოლოგია“ (1996), რომელიც წარმოადგენს ერთადერთ ორიგინალურ სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე. მის კალამს ეკუთხნის 100-ზე მეტი სამეცნიერო ხაშრომი. აქედან ხუთი წიგნია. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა მონოგრაფია „აჭარა-თრიალეთის გეოლოგიური კარტები“ (1999).


მთაგრეხილის „გეომორფოლოგია“ (ნაწ. I). ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დაკით (დუდე) ყარამანის ძე მნელაძემ. იგი დაიბადა 1889 წლის 1 ნოემბერს ქ. ხაშურში. ხაშურის ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ჯერ თბილისის რეალურ სასწავლებელში, ხოლო შემდეგ მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტში. მოსკოვის სწავლის პერიოდში იგი გაცნო მდიდარ და მრავალფეროვან თეატრალურ ხელოვნებას. განსაკუთრებით გაიტაცა საოპერულო ჟანრება. აღბათ, ამან განაპირობა რომ იგი ერთ-ერთი დამაარსებელი იყო

თბილისის მუნიკალური კომედიის თეატრისა.  
1913-16 წლებში აქტორუად ჩაეხა ხაშურის სცენისმოყვარეთა წრის მუშაობაში. 1917-1925 წლებში მუშაობს ქუთაისში, თბილისში, ხაშურში, აჭარაში. ხაშურში პირველად დგამს უ. ჰაჯიძეგავის ოპერების „არშინ ბალ-ალანს“.

(continued from page 45 of this issue)

# იმუნიზაციის კვირეულები უმნიშვნელოვანესი ლონისძიება საზოგადოების ცნობიერების ამაღლების საქმეში

## ევროპის იურიდიკურის კვირეული



24-30 აპრილი

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმ) ევროპის რეგიონული ბიურო ევროპის იმუნიზაციის კვირეულს 2023 წლის 24 - 30 აპრილს აღნიშნავს.

საქართველო 2007 წლიდან აქტიურად მონაწილეობს იმუნიზაციის კვირეულში და ახორციელებს სხვადასხვა სახის ფართომასშტაბიან საკომუნიკაციო ღონისძიებებს.

გვროპის იმუნიზაციის კვირეულის (EIW) 2023 წლის თემა „აცერი და დაიცავი“. აღნიშნული მიზნად ისახავს კაქცინებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის მნიშვნელობის გაზრდას და ყველასათვის ხანგრძლივი და ჯანმრთელი ცხოვრების უზრუნველყოფას.

ევროპის იმუნიზაციის კვირეულის მიზნია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება იმუნიზაციის მნიშვნელობის შესახებ ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის. კვირეულის განმავლობაში კიდევ ერთხელ მოხდა იმუნიზაციის აქტუალობის შესსენება და ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობის, მედიის, ჯანდაცვის სისტემის სპეციალისტების,

აფრთხოების გარანტია; პროგამული ვაქცინები უფასოა მომხმარებლისთვის - ვაქცინის ღირებულებას სრულად ფარავს სახელწიფო იმუნიზაციის პროგრამის ფარგლებში. ამავე პრინციპების დაცვით სახელმწიფო ქვეყნის მოსახლეობას უზრუნველყოფს გრიპის, ანტირაბიული, ყვითელი ცხელებისა და COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინებით, ზოგიერთი დაავადების/მდგრამარების საპროფილაქტიკო ან სამკურნალო ბიოქიმიური პრეპარატებით.

იმუნიზაციის პროგრამის მიღწევები:

- 2002 - საქართველო სეროფიცირებული იქნა როგორც ველური პოლიომიელიტის ვირუსისაგან თავისუფალი ტერიტორია

- ბოლო 10 წლის განმავლობაში იმუნიზაციის კალენდარში დაინერგა 5 ახალი ვაქცინა და ეროვნული კალენდარი თოთქმის სრულად მიუახლოვდა განვითარებული ქვეყნების აცრების კალენდარს;

- იმუნიზაციის სახელწიფო პროგრამის ბიუჯეტი მდგრადი და მზარდია, პროგრამა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ;

- ბოლო წლების განმავლობაში, სახელმწიფოს დაფინანსებით მნიშვნელოვნად განახლდა და გაუმჯობესდა ქვეყნის ცივი ჯაჭვის სისტემა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

- 2002 წლიდან ქვეყანაში მოქმედებს ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციის უნივერსალური კალენდარი - წლამდე ასაკის ბავშვთა ოთხერადი ვაქცინაცია, ორსულთა სკრინინგი HBsAg-ზე და დადგითი შედეგის შემთხვევაში, ახალშობილთა აცრები ეპ მონო ვაქცინით და იმუნოგლობულინით;

- რეტინულ ვაქცინაციასთან ერთად, იმუნიზაციის პროგრამის ფარგლებში ასევე სორციელდება დიფორმის, ბოტულიზმის, ცოფის, ტენიუსის, ყვითელი ცხელების, გველის ნაკედების პროფილაქტიკა და მკურნალობა;

- 2013 წლიდან სახელწიფო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია წინასწარ შერჩეულ რისკ-ჯუფებში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად;

- რეტინულ ვაქცინაციასთან ერთად, იმუნიზაციის პროგრამის ფარგლებში ასევე სორციელდება დიფორმის, ბოტულიზმის, ცოფის, ტენიუსის, ყვითელი ცხელების, გველის ნაკედების პროფილაქტიკა და მკურნალობა;

- 2019 წელს ქვეყანაში ამოქმედდა პროფესიული ჯგუფის საგალდებულო ვაქცინაციის კალენდარი.

- 2020 წელს საქართველო წითელას ვირუსისგან თავისუფალ ქვეყნად გამოაცხადა;

- 2021 წლიდან ხორციელდება ქრონიკული დაავადების მქონე 65 წლის

და უფროსი ასაკის პირებისა და ხანდაზულობა სადღედამისო სპეციალიზებული დაწესებულებების ბენეფიციარების პნევმოკორეული ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინაცია;

- საქართველოში იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის დახმარებით 10-12 წლის 32 000-მა გოგონამ ჩაიტარა აპვ-ს ვაქცინაცია.



პოლიტიკოსების და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.

ძალზე მნიშვნელოვანია იმუნიზაციის მიმართ ძლიერი პოლიტიკური მხარდაჭერის შენარჩუნება, რათა თავიდან ავიცილოთ ვაქცინით მართვადი დაავადებების აღმოცენების და გავრცელების რისკი.

უცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ყველა ადამიანი იმსახურებს თანაბარ შესაძლებლობას იცხოვოს ჯანმრთელად, ვაქცინაცია კი ამ მიზნისკენ გადადგმული ნაბიჯებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია.

უკვე ორ საუკუნეზე მეტია რაც ვაქცინების მეშვეობით დედამიწა უფრო უსაფრთხო ადგილი გახდა - ევავილის საწინააღმდეგო შექმნილი პირველი ვაქცინიდან მოყოლებული, COVID-19-ის მმიმე შემთხვევების თავიდან ასაცილებელი უახლესი მ-რნბ ვაქცინების ჩათვლით. ვაქცინები გვიცავს როგორც ინდივიდუალურად, ასევე როგორც გლობალური საზოგადოების წევრებს, ერთმანეთის დაცვაშიც გვეხმარება.

საქართველოში იმუნიზაციის სახელწიფო პროგრამას საფუძველი ჩაეყარა 1996 წელს; პროგრამის მიზანია, გლობალური და რეგიონალური მიზნების შესაბამისად, მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდების გზით, აცრებით მოცვის სათანადო მაჩვნებლის მიღწევით დაცვინით მართვადი ინფექციებისაგან დასაცავად.

რეტინული ვაქცინაციის სქემა დამოკიდებულია ქვეყნის ეპიდემიოლოგიურ და პროგრამულ თავისებურებებზე; ქვეყნის მოსახლეობის ვაქცინაცია რეგულირდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კანონისა და პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის შესაბამისად.

0-18 წლის ასაკის მოსახლეობის ვაქცინაციის სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 ინფექციის - ტუბერკულოზის, დიფთერიას, ყინანახველას, ტეტანუსის, პოლიომიელიტის, ყბაყურას, წითელას, პეპარიტის, რობავირუსული ინფექციის, ადამიანის პაპილომავირუსის, პნევმოკორეული ინფექციის და პემოვილუს ინფლუენციაზე გაქცინის საწინააღმდეგო ვაქცინაციის საშუალებით: CG, HepB, DPT-Hib-HepB, IPV, DPAT/IPV, Td, MMR, Rota, PCV, HPV და გამოიყენება WHO-sEMA-ს, FDA -ს მიერ რეკომენდებული ვაქცინი, რაც მაღალი ეფექტურობისა და უს-

- 2022 წელს, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დაიწყო ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის ჩატარება 13 – 26 წლის გოგონების ასაკობრივ ჯგუფებში;

საშუალის მუნიციპალიტეტების საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ფართოდ იყო ჩატარების იმუნიზაციის კვირეულში და ამ პერიოდში წინასწარ გათვალისწილი გეგმით მოქმედებდა. გეგმის ძირითადი ნაწილი მოიცავდა შეხვედრების სხვადასხვა სოციალურ უნიტებთან, რომლის დროსაც მიმდინარეობდა ფართო ასენა-განმარტებითი სამუშაო. აღნიშნული კომუნიკაციები ერთ-ერთი ყველაზე უფექტური საშუალებაა ცნობიერების ამაღლებისათვის იმუნიზაციის სიკეთისმიმრანი პროცესის შესახებ. გასულ კვირას, უკვე შედგა შეხვედრები ჯანდაცვის სისტემის იმუნიტეტში მონაწილე მედიკერსონალთან, მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლების დირექტორებთან, ხშურის პირველ და მესამე საჯარო სკოლების მოსწავლეთა მშობლებთან. შეხვედრები კალავაც გრძელდება.

იმედია, ევროპის იმუნიზაციის წლევანდელი კვირეული კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი გახდება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების უმნიშვნელოვანების საქმეში.

**დავით ჩიქოვანი,  
მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის  
დირექტორი**



„ოქროს ფარის“ მოცეკვავეები  
გინესის რეკორდის ერთგვარი  
თანამონაწილენი გახდნენ

ქართველმა ახალგაზრდა მოცეკვავემ გიორგი კვანჭიანმა მსოფლიო ლიონი რეკორდი დამყარა ქართული ტრიუკით. გიორგი მსოფლიო დონის პროექტების მოცეკვავეა, („ანატოლიის ცეცხლი“ და „ტროა“). თავისი ქორეოგრაფიული შემოქმედებით მრავალ ქვეყანაში მოგზაურობს. არახალია, რომ ქართულ ცეკვების მრავალი ტრიუკი, მაყურებელ ში აღფრთოვანებას იწვევს. მათ შორისაა შესრულების სირთულით გამორჩეული ტრიუკი „ტყუპი“. როგორც ქორეოგრაფი ნონა თელიაშვილი საუძღრისას განმარტავს ტრიუკის სირთულეს განაპირობებს ის დეტალი, რომ შესრულებისას არ უნდა ამოისუნთქო, ისე უნდა გააკეთო ილეთი და ტრიუკს თუ ვინმე აკეთებს სუფთად და კარგად, ესე იგი ის მაგარი მოცეკვავა. იგი გამოიყენება ნებისმიერ ქართულ ცეკვაში, მათ შორის „აფხაზურში“, „მთიულურში“, ეს არის ბიჭის ქართული ტრიუკი. ნონა თელიაშვილი იხსენებს, რომ საზღვარგარეთ, ეგვიპტეში ყოფნისას, გიორგი კვანჭიანმა კულისებში შესრულა და ჩაწერა „ტყუპი“. „ტიკ-ტოკზე“ ჩანაწერმა ერთ დღეში მყისიერად დააგროვა მილიონი ნახვა. და გადის გარკვეული პერიოდი და მას უკავშირდება მსოფლიო გინესის რეკორდების ორგანიზაცია. გიორგის აცნობებენ, რომ ამ მოძრაობამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მსოფლიოს მასშტაბით და თუ შეიძლება გაკეთდეს ილეთი უფრო დიდხანს, უფრო ხანგრძლივად და დამყარდეს მსოფლიო რეკორდი. რათქმა უნდა, გიორგიმ შეთავაზება მიიღო და დაიწყო მუშაობა. გინესის რეკორდების ორგანიზაციამ თავად დაგეგმა რომ ეს რეკორდი უნდა დამყარებულიყო იტალიაში, მილანის ტელევიზიაში და ქართულ ცეკვაზე არსებული დიდი ინტერესისა და მოთხოვნის გათვალისწინებით, შესთვაზეს მილანის ტელევიზიაში შეესრულებინათ პატარა თუნდაც ერთ წუთიანი ქართული ცეკვის პერფორმანსი....



მსოფლიო რეკორდი დამყარდა ქართული ცეკვის ტრიუკით ქართველი ახალგაზრდა მოცეკვავის მიერ. რეკორდის დამყარების დროს, გიორგი კვანჭიანს თანხლება გაუწიეს ანსამბლ „ოქროს ფარის“ მოცეკვავებმა. „გინესის რეკორდამდე ჩემმა შეკრულმა გუნდმა გააღადგინა იტალიის, კონკრეტულად მილანის ყველაზე რეიტინგული შოუ ქართული ცეკვით და გადარია იტალიელები. სამი უმშევნიერესი და უმაგრესი მოცეკვავე დავიმატე ანსამბლი, „ოქროს ფარიდან“ და მადლობა ნონა თევითშვილს თანამშრომლობისათვის“, - წერდა მოგვიანებით გიორგი კვანჭიანი.

ანსამბლ „ოქროს ფარის“ ქორეოგრაფი ნონა თელიაშვილია

- ამ დროს გვიკაგშირდება გიორგი „ოქროს ფარს“ და გვთხოვს მოცეკვავების თანხლებას, თვითონ ჟერჩია და მოხაზა ეს მოცეკვავები ფოტოდან. მათ იცნობდა მხოლოდ სოციალური ქსელების მეშვეობით, ფოტოები, ცეკვები პქრონდა ნანახი. და გვთხოვს, თუ შეიძლება, რომ „ოქროს ფარს“ იყოს ჩემს გვერდით გინების რეკორდის ჩაწერის დროს და თუ შეიძლება რომ ეს სამი მოცეკვავე მახლდეს იტალიაში.

როდესაც ახალგაზრდა, მთუმეტეს შენი ქვეყნის წარმომადგენელი დიდ მწვერვალზე აღის, ყველანაირი თანადგომა ექნება ყველას ჩვენგან და რა თქმა უნდა, აღფრთვანებული შევხვდით ამ ამბავს. აქ იყო ასაკის პრობლემა, პლიუს 18 მოცეავავე უხდა ყოფილიყო. არც ერთი არ არის პლიუს 18 და ამაზეც დათანხმდნენ. იმდენი იწვალა გიორგიმ, რომ მსოფლიო გინესის რეკორდის ორგანიზაცია დაითანხმა ამ პირობაზე, აუცილებლად ეს ბავშვები უნდა მახლდნენ გვერდითო. გაგაყეოთ გიორგის დადგმით ქართული ცეკვის პატარა მონაკვეთი ჩვენ ბავშვებთან ერთად. მას ახლდა მეუღლეც, ბალეტის მოცეკვავე. მაშინ შეევარებულები იყვნენ და სწორედ იმ ტელევიზიაში მოხდა ხელის თხოვნა. და ამ ხუთი მოცეკვავისაგან შედგა ის პატარა პერფორმანსი, რომელიც მერე მიღიონობით მაყურებელმა ნახა და ძალიან პოპულარული გახდა. საქართველოშიც ყველა არხმა გააშუქა ეს რეკორდი. ჩვენ ძალიან გვიხარია და ბედნიერები ვართ, რომ ქართველი

## - ვანდალიზმი -

ეს დანაშაულია ბავშვების მიმართ

ძვირფასო მეგობრებო, ასე გამოიყურება ხაშურში, ფარნაგაზის ქუჩაზე მდებარე ახლად რეაბილიტირებულ სკოლა დამონტაჟებული ატრაქციონები.

სამწუხაოდ, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა  
მოქალაქეები უპასუხისმგებლობას იჩენენ მუნიციპალური  
ქონების მიმართ, რაც ხალხის საკუთრებაა.

იოლად მისახვედრია და არ არის ზედმეტი ასენა საჭირო, რომ აღნიშვნული ატრაქციონები ბაგჟვებისთვისაა განკუთვნილი და ზრდასრულის წონაზე გათვალისწინებული არ არის.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია მოგმართავთ თხოვნით, ნუ დააზიანებთ ქონებას, რომელიც მხოლოდ იმ დანიშნულებითა შეძენილი, რომ თქვენვე, თქვენმა შვილებმა, უმცროსმა და-ძმებმა და თანაქალაქელებმა უნდა მოიხმარონ.

მოცეკვავის მწერვალზე, ქართველი მოცეკვავის წარმატების ახლოს იყო „ოქროს ფარი“ და დირსეულად წარვადგინეთ ქვეყანა და რეკორდსმენი.

იტალიაში გამგზავრებისა და მიღანში ცხოვრების ხარჯები, მიღანის ყველაზე რეიტინგული ტელევიზიის სტუდიის მომსახურება, ჩაწერისათვის პროფესიული მზადება.... ყველაფერი დაფინანსებული იყო გინესის რეკორდების ორგანიზაციისა და მიღანის სახელმწიფო ტელევიზიის მიერ, რაც არასოდეს დაავიწყდებათ მოცეკვავებს. ეს არის საქართველოს გამარჯვება და ეს არის „ოქროს ფარის“ დაუკიწყარი ისტორია.

„ოქროს ფარის“ მოცეკვავე ვასო დევდერიანი, 17 წლის, მაროკოს მსოფლიო ფესტივალების ლაურეატი. ცეკვას ბავშვობიდან.

- იტალიაში გიორგი კვანძიანთან ერთად თებერვლის შუა რიცხვებში გავემგზავრეთ. წარგადგინეთ პატარა პერფორმანსი, ნომერი, ქართული ცეკვის პოპულარი, მთიულური ცეკვის ელემენტებით, ფარიკაობით. წარმოვაჩინეთ საქართველო და საქართველოს აულტურა. იტალიელები ჩვენი ცეკვით იყვნენ ძალიან აღფრთოვანებულები და გაოცებულები. გადაცემის ჩაწერამდე, რამდენიმე დღე გვქონდა რეპეტიციები. გვაძოვმებდნენ ჟიურის წევრები. მათ თავიდანვე, რეპეტიციებისას მოეწონათ ჩვენს მიერ შესრულებული ცეკვა. და რეკორდის დამყარების პროცესის ჩაწერისას, ერთიანი ძალებით, მონდომებით წარვუდგინეთ პერფორმანსი ჟიურისა და მაყურებელს.

მიღანის კველაზე რეიტინგულ ტელევიზიაში მიღწეულ წარმატებასა და შთაბეჭდილებებზე გვესაუბრა „ოქროს ფარის“ მოცეკვავე **ნინო ლომაძე**.

- ჩემთვის, დიდი გამოცდილების გარდა, ეს იყო ძალიან საამაყო ფაქტი, რდგან გიორგისთან ერთად ჩვენ ვიცხვეთ და წარმოვაჩინეთ საქართველო და ხაშური. ჩვენ იქ ვიყავით ვარსკვლავები, თამამად შემიძლია ვთქვა, ეს იყო მართლაც დაუგიწყარი, რადგან პროფესიონალები, რომლებიც გვიკეთებდნენ მაკიაჟს, ზრუნავდნენ ჩვენზე და ჩვენს იმიჯზე, ყოველ წამს თავს დაგვტრიალებდნენ და გვისწორებდნენ, ხვეწდნენ ყოველ დეტალს, რაც ჩვენს ვიზუალს შექებოდა. მოგვიწერიგეს საცეკვაო კოსტიუმები. ეს ძალიან სასიამოვნო იყო და ამავე დროს, დიდი გამოცდილებაც და წარმატება ჩემი ცეკვის ისტორიაში. ჩვენი ცეკვით კმაყოფილი იყო მაყურებელიც. მოდიოდნენ და ჩენთან ერთად იღებდნენ ფოტოებს. არ წყდებოდა აპლოდისმენტები...

**ლევან საჩალელი**, 17 წლის, „ოქროს ფარის“ მოცეკვავე. ცეკვას აგერ უკვე 11-12 წელია.

- ბალიან გიგე

სუ თოაგრეს ქლი რამდენიმე ადამი- ანი, რომ ჩვენი საჭიროებები დაექმაყოფილებინა და უზრუნველეყო. რაც დაგვჭირდებოდა, მათ მივმართავდით და ისინიც რამდენიმე წუთში აკმაყოფილებდნენ ჩვენს მოთხოვნას. გვემსახურებოდა სპეციალურად ჩვენთვის ამერიკიდან მოწვეული პოლონელი ქართველი თარჯიმანი, მათი მეშვეობით ვამყარებდით იტალიელებთან კომუნიკაციას. გავიხსენებ ერთ ეპიზოდს... მთიულურში გჭირდება კერის დაცვა და იმ მომენტში არ მქონდა

(ოასასრულო მე-6 გვერდზე)

## „ოქროს ფარის“ მოცეკვავეები გინესის რეკორდის ერთგვარი თანამონაწილენი გახდნენ



საშუალება, რომ გადამეხვია საცერე და რამდენიმე წუთში გააჩინეს შესაბამისი მასალა. კიდევ იყო ის დიდი ემოციური მუხტი, რომ ჩვენს ირგვლივ წარმოებდა მასშტაბური გადაღების პროცესი, მუშაობდა უამრავი კამერა, იყო ძალიან ბევრი განათება, ძალიან ბევრი ადამიანი, ძალიან ბევრი მაყურებელი და ამ უველავერმა იმდენი შთაბეჭდილება, იმდენი ემოცია და ისეთი მუხტი მოიტანა, რომ ჩემთვის, როგორც მოცეკვავისათვის იქნება დაუვიწყარო.

- „ოქროს ფარის“ ეს საოცარი და დაუვიწყარი გამოცდილება ხომ არ გახდა თქვენი ანსამბლისათვის შემდგომი შემოთავაზებების განმაპირობებელი?

„ოქროს ფარის“ ქორეოგრაფი ნონა თედიაშვილი:

- რა თქმა უნდა, არის შემოთავაზება. ამ პერიოდში გიორგი იმყოფება



ანტალიაში, ძალიან დიდ პროექტში ღებულობს მონაწილეობას და ჩვენი ანსამბლის ორი მოცეკვავე გავაყოლეთ პროექტისათვის. 8 თვე იქნებიან თურქეთში და იცეკვებენ გრანდიოზულ შოუებში. ეს არის ლაშა ნოზაძე, კულტურის ინსტიტუტის მოცეკვავე და მარიამ ქალიაშვილი, ხაშურელი მოცეკვავე, რომელიც „ოქროს ფარის“ შემდეგ თეა დარჩიას სტუდიაში აგრძელებდა ცეკვას და მოღვაწეობას.

ეს არის მრავალმხრივი ურთიერთობა. გიორგის აქვს კიდევ სხვა შემოთვაზებები და მომავალში აუცილებლად კიდევ წარგდებით მაყურებლის წინაშე ერთად. „ოქროს ფარისა“ და გიორგი კვანჭიანის წარმატებები იჯაჭვება ერთმანეთთან და გავაგრძელებთ მომავალშიც თანამშრომლობას.

ახალგაზრდა მოცეკვავები სააუბრის დასასრულს იტალიურ, მილანურ არდაღებებს მხიარულად იხსენებენ. ნინო ლომსაძემ განსაკუთრებით დუომოს ულამაზესი ტანკის მონახულებით მიღებული შთაბეჭდილებები გაგვიზიარა.

- 5 დღის განმავლობაში ვიმყოფებოდით მილანში. დავათვალიერეთ დუომოს ტანკი, ულამაზესი, სასწაული, ხელოვნების ნიუჟში, ახლაც შთაბეჭდილების ქვეშ ვარ. სასიამოვნო იყო ძალიან ჩვენთვის ეს მოგზაურობა.

გასო დევლარიანი და ლევან საჩალენი კი მილანურ მხიარულ თაგადასავლებს სთავაზობენ მკითხველს.

### ლევანი:

- მე და ვასო ჩამოვრჩით ჩვენს გუნდს, გავიფანტეთ და ფაქტობრივად, ერთი საათი ერთმანეთს ვეძებდით. მიუხედავად ამისა, არ ვღელავდით, რომ დავიკარგეთ... გზის მოქმედნაში დაგვეხმარა რუკა და დუომომდე წარმატებით მივედით...

### გასო:

- რამოდენიმე წუთით მოგასწარით მეტროს დახურვას, თორემ ალბათ დაგრჩებოდით ქუჩაში და ველარც მიგაგნებდით სასტუმროს...

### ნინო:

- ახლაც მეცინება (იცინის), მოდის ერთი სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცი და მაწვდის ვარდების თაიგულს, და მეუბნება ბელა სენიორიტაო, ანუ ლამაზო ქალბატონო და უველა მიყურებდა, ძალიან უხერხულიც იყო და ამავდრულად ძალიან სასიამოვნოც (სამივე ერთად იცინის).

### ლევანი:

- ნინო ძალიან დიდ

მოწონებას იმსახურებდა იტალიელებისაგან. მისი სილამაზის დამსახურებით შეგვამჩნიეს მილანში ქართველებმა, რომლებიც იქ გაიცანით. დუომოს მოედანზე ძალიან ბევრი ადამიანის უურადღება მიიქცია და ჩვენც ამაყად დაგდიოდით.

„ოქროს ფარის“ მოცეკვავებმა მილანი მოხიბლეს ქართული ცეკვით, ქართული შემოქმედებით, სილამაზით, ნიჭით, გამორჩეულობით. გადაცემას სადაც ხაშურებმა მოცეკვავებმა იცემეს, მილიონობით ნახვა აქვს. მილიონობით ნახვა აქვს გინესის რეკორდების ინტერნეტ გვერდებაც. საქართველოშიც ძალიან ბევრმა ადამიანმა ნახა მათ უესახებ მომზადებული სიუჟეტები. შეგვიძლია თამად დასიამაყით ვთქვათ, რომ ჩვენს წინაშე არიან მსოფლიო ვარსკვლავები.

ნონა თედიაშვილმა საუბრისას კიდევ ერთი სასიამოვნო დეტალი გაისხენა, რაც ქართველების მილანურ წარმატებას უკავშირდება და საუბარიც ჩვენი „ოქროს ფარელი“ მოცეკვავების შესახებ მისი დიალოგით დავასრულდეთ:

- ვიცით, რომ იტალიაში ქართველი ფეხბურთელი ხეიჩა კვარაცხელია არის ძალიან პოპულარული და ის გმირად ჰყავთ შერაცხელი. და როდესაც ქართველებმა იქ იცემეს, იტალიელი მაყურებლების მხრიდან იყო ძალიან დიდი უურადღება ქართული ცეკვების მიმართ. სურდათ ენახოთ, რა კულტურის მატარებელია ქვეყანა, საიდანაც ხეიჩა კვარაცხელია და მილანის ტელევიზიაში ჩვენი მოცეკვავების მიერ წარმოდგენილი ქართული ცეკვის პერფორმანსი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნის ხელოვნების პოპულარიზაციისთვის და ხეიჩა რომ ძალიან მაგარი ფეხბურთელია, ეს ხომ ისედაც უკედამ იცის. ხეიჩას გამოც ძალიან დიდი უურადღება იყო ამ გადაცემისა და საქართველოსადმი.

**თეა ახალგაცი**



ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე,

მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.

Д-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით

გაზეთი იბეჭდება თბილისში.